

**სადაზღვევო მომსახურებების ელექტრონული ტენდერის საშუალებით**  
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის**  
**ოქმი N1**

ქ. თბილისი

29 იანვარი 2020 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

- ა) გიორგი გოგაძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;
- ბ) ირაკლი ჩილინგარაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
- გ) მერაბ მურღულია - სატენდერო კომისიის წევრი, საქართველოს გენერალური პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;
- დ) გიორგი რამიშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი;
- ე) კონსტანტინე ბელაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, საქართველოს გენერალური პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;
- ვ) დავით ხმაღაძე - სატენდერო კომისიის წევრი, საქართველოს გენერალური პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი;
- ზ) ნიკოლოზ ბურდული - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საქართველოს გენერალური პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მრჩეველი;
- თ) ქეთევან მეტრეველი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საქართველოს გენერალური პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მრჩეველი.

**მოწვეული სპეციალისტები:**

- ა) თამარ ყუფარაძე - სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

**დღის წესრიგი:**

საქართველოს პროკურატურისა და სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ თანამშრომლების ჯანმრთელობის და სიცოცხლის სადაზღვევო მომსახურების ელექტრონული ტენდერის საშუალებით ერთობლივი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სატენდერო პირობების განხილვა და დამტკიცება, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა.

**სატენდერო კომისიამ მოისმინა:**

სატენდერო კომისიამ მოისმინა, სატენდერო კომისიის აპარატის მიერ წარმოდგენილი თანამშრომლების სადაზღვევო მომსახურების შესყიდვის სატენდერო განცხადებისა და სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

**სატენდერო კომისიამ განიხილა:**

სატენდერო კომისიამ განიხილა, სატენდერო კომისიის აპარატის მიერ წარმოდგენილი სადაზღვევო მომსახურების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი და შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება - 1 807 800.00 ლარის ოდენობით.

სატენდერო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ სადაზღვევო მომსახურების ელექტრონული ტენდერის საშუალებით ერთობლივი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების ტექსტის პროექტი მისაღებია.

**სატენდერო კომისიამ დაადგინა:**

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცებულ იქნას სადაზღვევო მომსახურების ერთობლივი ელექტრონული ტენდერის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, უზრუნველყოს კომისიის მიერ დამტკიცებული ელექტრონული სატენდერო პირობების გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

  
გიორგი გოგაძე

სატენდერო კომისიის წევრი



ირაკლი ჩილინგარაშვილი

სატენდერო კომისიის წევრი



მერაბ მურღულია

სატენდერო კომისიის წევრი




გიორგი რამიშვილი

სატენდერო კომისიის წევრი



დავით ხმალაძე

სატენდერო კომისიის წევრი



კონსტანტინე ბელაშვილი

მოწვეული სპეციალისტი



თამარ ყუფარაძე

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი



ნიკოლოზ ბურდული

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი



ქეთევან მეტრეველი